# საქართველოს პარლამენტში მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენის პრობლემები და მათი დაძლევის პერსპექტივები

წარმომადგენლობითი მანდატის შესასრულებლად პარლამენტს საკანონმდებლო და საზედამხედველო უფლებამოსილებების გარდა, პირდაპირი ინსტრუმენტებიც გააჩნია: ესენია **პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის და მონაწილეობის მექანიზმები.** თუმცა, პრაქტიკაში საპარლამენტო საქმიანობა - კანონმდებლობა თუ კონტროლის პროცესში წარმოებული დებატები - **მოქალაქეთა წუხილებსა და პრობლემებს სათანადოდ არ ასახავს.** პეტიციები, ერთი მხრივ, მონაწილეობის ინსტრუმენტია, მეორე მხრივ კი, ისინი აძლევს პარლამენტს საშუალებას, პეტიციებში გადმოცემული პრობლემების შესწავლის შედეგად მოქმედებაში მოიყვანოს ზედამხედველობის ფუნქციაც.

# პრობლემის ხე - ძირითადი პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და შესაძლო გავლენები/შედეგები

პოლიტიკის მიმართ მოქალაქეთა ინტერესის შემცირება

საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შემცირება

დემოკრატიის ხარისხის შემცირება

**ძირითადი პრობლემა**

**საპარლამენტო პროცესები (დისკუსიები) არ ასახავს მოქალაქეთა საჭიროებებს**

პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ნაკლებობა

საპარლამენტო კონტროლის არაეფექტიანობა

პეტიციების დასაშვებობის მკაცრი წინაპირობები

დარგობრივი კომიტეტების გადატვირ-თულობა

ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეებში ინფორმაციის ნაკლებობა

აქტუალურ პრობლემებზე მთავრობასთან საპარლამენტო დისკუსიის ფორმატის არარსებობა

დეპუტატების მიერ მოქალაქეთა საჭიროებების შესწავლის არაეფექტიანი პრაქტიკა

# გამოწვევების დასაძლევად შემუშავებული რეკომენდაციები (საქართველოს პარლამენტს):

- პარლამენტში შეიქმნას **პეტიციების კომიტეტი**
- **გადაიხედოს პეტიციების მარეგულირებელი ნორმა** (პეტიციების საგნის ნაწილში) და მან გაითვალისწინოს პერსონალურ პრობლემებზე საჩივრის მსგავსი პეტიციის წარდგენაც
- **შეიცვალოს პოლიტიკური განცხადებების პროცედურა** იმგვარად, რომ მან გაითვალისწინოს მთავრობის წევრების სხდომაზე დასწრება და კითხვებზე პასუხების გაცემა
- **შეიქმნას დეპუტატთან დასაკავშირებელი აპლიკაცია,** რომლითაც მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ კონკრეტული დეპუტატის სახელზე წერილი ონლაინ ფორმატში გააგზავნონ
- შემოღებულ იქნეს **ცალკეული დეპუტატების ანგარიშვალდებულების მექანიზმები** (მაგალითად, წლიური ანგარიში), რომელშიც აისახება მათ შორის, მოქალაქეებთან ურთიერთობის, აგრეთვე პეტიციების კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობის პრაქტიკა.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

## შენიშვნა:

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მასალა მომზადდა პროექტის, „ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორინგისთვის საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და მისი შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას.